

- ლ. თოდუა - „ეროვნული მოთხოვნები არ უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტზე უფრო მკაცრი. თუმცა, ვინაიდან საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება ძალზე გრძელი პროცესია და ბევრ სფეროში ისინი უბრალოდ არ არსებობს (მაგალითად, დღემდე არ არის დამტკიცებული საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც სურსათის უვნებლობის მიკრობიოლოგიურ კრიტერიუმებს (ნორმებს) დაადგენდა)“ (გვ.10)
- მოსაზრება წინააღმდეგობაშია პოლიტიკის დოკუმენტთან (გვ.4.), რამდენადაც სურსათის უვნებლობის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ვერ დაეყრდნობა არარსებულ საერთაშორისო სტანდარტს;
- გარდა ამისა, მისივე განმარტებით მიკრობიოლოგიური კრიტერიუმების( ნორმების) შემუშავება „ძალზე გრძელი“ ალბათ იგულისხმება „ხანგრძლივი“ და დავამატებდით, რომ ძვირადღირებული პროცესია, ამიტომ, და ასევე DCFTA ვალდებულებიდან გამომდინარე, მოხდა ევროკავშირის ფარგლებში განხორციელებული რისკების შეფასების საფუძველზე დადგენილი ნორმების გადმოტანა.
- ლ. თოდუა - რისკის კომუნიკაცია -  
 „როგორც მეცნიერთა დასკვნები, ისე პოლიტიკოსთა გადაწყვეტილება და მისი დასაბუთება მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს - სწორედ ესაა რისკის კომუნიკაციის პროცესი. (გვ.5)
- (იქვე - რისკის კომუნიკაცია  
 დაინტერესებულ მხარეთა შორის რისკის თაობაზე ინფორმაციისა და მოსაზრებათა ურთიერთგაცვლა)“ (გვ.6)

ასახულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 დეკემბრის N605 დადგენილების მე-6 მუხლში.

- ლ. თოდუა - „არ ასახავს რეალურად აქტუალურ პრობლემებს

*საქართველოში გავრცელებულია სურსათთან ან სასურსათო ნედლეულთან/ცხოველებთან დაკავშირებული ისეთი დაავადებები, როგორებიცაა: სალმონელოზი, შიგელოზი, ეშერიხიოზი, ბრუცელოზი, ტრიქინელოზი, ამეზიაზი. ბუნებრივია მოლოდინი, რომ რისკის შეფასების აქტივობები პირველ რიგში სწორედ ამ საკმაოდ მძიმე დაავადებათა მიზეზების გამოკვლევაზე და აღმოფხვრის შესაძლებლობებზე მიიმართოს“. (გვ.10)*

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განსაზღვრული იქნა რისკი პროფილი და შესაბამისად განხორციელდა ცხოველური წარმოშობის სურსათში Campylobacter -ის და ფრინველის მექანიკურად განცალკევებულ ხორცში - Salmonella -თან დაკავშირებული რისკის შეფასებები .

- ლ. თოდუა - რისკის შეფასების სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტების ნაკლოვანებათა ერთ-ერთ მიზეზს რისკის შემფასებელსა და მმართველს შორის ფუნქციების არასრული გამიჯვნა წარმოადგენს. კერძოდ, არსებული წესების მიხედვით, რისკის შეფასების სამსახურს, გარდა რისკების (სამეცნიერო) შეფასებისა, აგრეთვე ევალება რისკის მისაღები დონის დადგენა<sup>39</sup>. (გვ.12)

რისკის შემფასებლის მიერ „რისკის მისაღები დონის დადგენა“ ეს არ არის ALOP (Appropriate level of protection) ანუ „დაცვის სათანადო დონე“.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის „შეთანხმება სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენების შესახებ“, „ა“ დანართში იძლევა განმარტებას - „*სანიტარიული და ფიტოსანიტარიული დაცვის დონე - ეს არის დაცვის დონე, რომელიც ითვლება სათანადოდ წვერი ქვეყნის მიერ და რომელიც საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში ადამიანების, ცხოველების და მცენარეების ჯანმრთელობის დასაცავად იყენებს სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებს. მსო-ს მრავალი წვერისათვის ეს კონცეფცია ცნობილია „დაცვის სათანადო დონის“ (ALOP) სახელით.*

ALOP-ის, ანუ „დაცვის სათანადო დონის დადგენა“ წარმოადგენს რისკის მმართველის და არა რისკის შემფასებლის ფუნქციას, რომლის მიღწევისათვის სათანადო ზომებს განსაზღვრავს რისკის მმართველი.

რაც შეეხება რისკის შეფასების სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ „რისკის მისაღები დონის“ დადგენას, ეს არ არის რაიმე საკანონმდებლო ნორმის დადგენა.

რისკის შემფასებლების მიერ რისკის თვისობრივი ან ნახევრადთვისობრივი შეფასებისას მზადდება დასკვნა, რომელშიც მოცემულია რისკის დონეები: რისკი არის „უმნიშვნელო“, რომელიც აღინიშნება როგორც „პრაქტიკულად არ განსხვავდება 0-გან“ , ანდა როგორც „იმდენად მცირე, რამდენადაც შესაძლებელია მისი აღმოჩენა (ALARA)<sup>1</sup>, რისკი არის „დაბალი“, „საშუალო“, „მაღალი“ და „მაღლიან მაღალი“. რისკის შეფასების სამსახური სწორედ რისკის თვისობრივი ან ნახევრადთვისობრივი შეფასებისას, „რისკის მისაღები დონის“ შესაბამისად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელსაც აწვდის რისკის მმართველებს.

(მაგ. ტრანსცხიმებთან დაკავშირებით, რისკის შემფასებლების მიერ მოწოდებული იქნა რისკის მმართველებისათვის ჯმო-ს მიერ რეკომენდებული „მისაღები დონე“. ხოლო რისკის მმართველებმა ( ჯანდაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამიმისტრო, საქართველო მთავრობა) განსაზღვრეს ე.წ. „დაცვის სათანადო დონე“ (Appropriate level of protection, ALOP, ანუ ადამიანთა სიცოცხლის/ჯანმრთელობის დაცვის დონე, რომელიც შესაფერისად მიიჩნია და შესაბამისად, მთავრობის დადგენილებით, განისაზღვრა იმ

---

<sup>1</sup>ALARA ( ინგლ. *As Low As Reasonably Achievable*)

პროდუქტების ჩამონათვალი რომელზედაც ვრცელდება დადგენილი ნორმა. მათ შორის

ჩვილ ბავშვთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი, რომელიც არ უნდა შეიცავდეს ტრანსცხიმს.

- ლ. თოდუა „საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში უკვე მოქმედებს მოთხოვნები, რომელიც არც საერთაშორისო სტანდარტს ეფუძნება და არც რისკების შეფასებას (მაგალითად, ევროკავშირთან აპროქსიმირებული სურსათის უვნებლობის მიკრობიოლოგიური კრიტერიუმები), ანუ ამ რეგულაციებით საქართველო არღვევს WTO SPS შეთანხმების მოთხოვნებს“ (გვ.14)

მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით ევროკავშირში შემავალ არცერთ ქვეყანას, COMMISSION REGULATION (EC) No 2073/2005 of 15 November 2005

on microbiological criteria for foodstuffs, რეგულაციის მიღების შემდეგ (2005 წელი) არ ჰქონია დავა მსო-ის წევრ არც ერთ ქვეყანასთან მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. ამდენად, საქართველო არ არღვევს WTO SPS შეთანხმების მოთხოვნებს.